ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო'' საბჭოს სხდომა #18

2018 წლის 21 მაისს შედგა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით მეთვრამეტე სეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 13 დელეგატი, სხდომას ხელმძღვანელობდა თავმჯდომარე ქ.-ნი ლელა კეთილაძე.

დღის წესრიგი:

1. შეხვედრა ქალაქის მერთან ბ.-ნ ირაკლი ტაბაღუასთან;
2. მსჯელობა ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე ქალაქის მერთან-მთავარი საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია;
3. მელიორაციის სამსახურისათვის წარსადგენი წერილის შედგენა,ქალაქში ტექნიკური წყლის გაჩენასთან დაკავშირებით..
4. მსჯელობა გარემოს საკითხებზე-სეხვედრა გარემოს დამცველებთან.
5. სოციალური საკითხების შეჯამება.
6. შინაგანაწესის დამტკიცება.

21 მაისის შეხვედრაზე დელეგატებმა შეაჯამეს გარკვეული ინფორმაცია სოციალურ საკითხებზე და განაგრძეს მუშაობა რეკომენდაციების მომზადებაზე. ასევე ყურადღება გაამახვილეს ინფრასტრუქტურულ საკითებზე პრობლემებზე: საცხოვრებელი კორპუსების საზღვრების დადგენაზე და წითელი ხაზით გამიჯვნაზე; ლიფტების შახტების პრობლემებზე.

საბჭოს წევრები აქტიურად ჩაერთვებიან კულტურული, სპორტული და რეკრეალიული ზონების მოსაწყობად რეკომენდაციების მომზადებაში.ესენია: 1) რუსთავის მთავარი საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია და მოვლა; 2) ქალაქში საზოგადოებრივი ტუალეტების მოწყობა; 3) ე.წ. „ჩიკაგოს სკვერის'' რეაბილიტაცია, მოწყობა. 4) ქალაქის ისტორიის პოპულარიზაცია.

მრჩეველთა საბჭოს წევრებს ბ.-ნ ირაკლი ტაბაღუას თხოვნით დაევალათ წერილის ფორმისა და შინაარსის მომზადება, რომელიც გადაეგზავნება მელიორაციის სამსახურს, ქ.რუსთავში ტექნიკური წყლის გაჩენასთან დაკავშირებით.

სხდომის მეორე ნაწილში დამსწრე დელეგატებმა კენჭი უყარეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შინაგანაწესს და ერთხმად დაამტკიცეს.

დამსწრე დელეგატთა რაოდენობა - 13
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

სხდომის დასასრულს მოხდა განხილული საკითხების შეჯამება და შემდეგი შეხვედრისათვის რეკომენდაციების მომზადება.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსტავი,საქართველო 21/05/2018წ.